თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 2

21.02.2024 წელი

ქ. თელავი

თავმჯდომარეობდა: ზურაბ ლილუაშვილი

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **თამარ ხატიაშვილი; ოთარი ესიტაშვილი; მამუკა ბურდიაშვილი; გიორგი ხაჭაპურიძე; გიორგი ქართლელიშვილი; გიგი გიგიტელაშვილი; რუსუდან იმერლიშვილი; ნინო ომანიძე; იმედა კევლიშვილი; ივანე დალაქიშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - **ლია ფარსადანიშვილი;** საკრებულოს საორგანიზაციო განყოფილების უმცროსი სპეციალისტი - **ნინო ასანაშვილი;** საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარის სპეციალისტი - **ნიკოლოზ ესიტაშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ნათია ვაყელიშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი - **ანა ფეიქრიშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების სპეციალისტი - **ნუგზარ ბაჩიაშვილი;** მოქალაქე - **მაკა მოსიაშვილი, არჩილ მჭედლიშვილი.**

თავმჯდომარემ კომისიის სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა დღის წესრიგი

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი - ზ. ლილუაშვილი

თანამომხსენებელი - ნ. ვაყელიშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის N03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი - ზ. ლილუაშვილი

თანამომხსენებელი -

<u>**მოისმინეს**</u> 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> ზ. ლილუაშვილმა ისაუბრა ბიუჯეტში ცვლილებასთან დაკავშირებით და განმარტებები მოსთხოვა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს- **ნ. ვაყელიშვილს.**

მან აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებული პროექტი ეხება, თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას, რომლის ძირითადი მოტივი მდგომარეობს ნაშთის ასახვაში, რომლითაც მოხდება ცვლილება ბიუჯეტის გადასახდელებში წლის განმავლობაში სხვადასხვა განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსებისათვის, რომლის გათვალისწინებითაც თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი განისაზღვრება 70522,56 ათასი ლარის ოდენობით. კერძოდ:

გაიზარდება გზების კაპიტალური შეკეთების (კოდი 02 01 01) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 1589,98 ათასი ლარი. სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის (კოდი 02 02 01) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 665,0 ათასი ლარით, ბინათმშენებლობის ღონისძიებების (კოდი 02 05) სხვა ხარჯების მუხლი 352,54 ათასი ლარით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის სამუშაოების (კოდი 02 06 01) საქონელი და მომსახურების მუხლი 5,9 ათასი ლარით, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის (კოდი 02 11) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 100,0 ათასი ლარით, სკოლამდელი განათლების დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობის (კოდი 04 02) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 40,0 ათასი ლარით, სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობის (კოდი 05 01 01) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 32,25 ათასი ლარით.

გაიზარდება სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობის (კოდი 05 01 02), კერძოდ ა(ა)იპ - თელავის საფეხბურთო სკოლა თელავის დაფინანსების სუბსიდიის მუხლი 30,0 ათასი ლარით, ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობის (კოდი 05 04) სუბსიდიის მუხლი 75,0 ათასი ლარით, დასვენების ღონისძიებების ხელშეწყობის (კოდი 05 06) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 120,0 ათასი ლარით.

დეპუტატებს და მოქალაქეებს ძირითადად კითხვები ჰქონდათ თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების სპეციალისტთან, რაზეც ნ. ბაჩიაშვილმა ამომწურავად უპასუხა.

გ. გიგიტელაშვილმა იკითხა, დღეის მდგომარეობით თუ რა ოდენობის თავისუფალი ნაშთი გვაქვს, რაზეც ნ. ვაყელიშვილისგან ამომწურავი პასუხი მიიღო.

კომისიის წევრების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა წარმოდგენილ ცვლილებას. კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს გიგი გიგიტელაშვილმა, რუსუდან იმერლიშვილმა, იმედა კევლიშვილმა და ივანე დალაქიშვილმა. ნინო ომანიძემ თავი შეიკავა.

<u>გადაწყვიტეს:</u> კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, ბიუჯეტის ცვლილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

<u>მოისმინეს 2</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის N03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> კომისიის თავმჯდომარემ საკითხთან დაკავშირებით განმარტებები მოსთხოვა - თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსს - **ა. ფეიქრიშვილს.** მან აღნიშნა, რომ ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანის მიზანს წარმოადგენს თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის, კერძოდ ინფრასტრუქტურის განყოფილების საშტატო რიცხოვნობის ზრდა 1 ერთეულით. ორგანიზაციის მიზნების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, რომ ხსენებული საშტატო ერთეული რომელიც დღეის მდგომარეობით ვაკანტურია და შედის ადმინისტრაციული სამსახურის დაქვემდებარებაში, იერარქიული რანგისა და კატეგორიის ცვლილებით, როგორც III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა, გადატანილ იქნას ინფრასტრუქტურის განყოფილებაში. შტატის გადაადგილების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მთლიანი საშტატო რიცხოვნობა რჩება უცვლელი. იზრდება ინფრასტრუქტურის განყოფილების საშტატო რიცხოვნობა და განისაზღვრება 8 ერთეულით, ხოლო მოქალაქეთა მომსახურების, საქმისწარმოების, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების საშტატო რიცხოვნობა შემცირდება 1 ერთეულით და განისაზღვრება 15 ერთეულით.

დადგენილებაში ცვლილების შეტანის მიზანს აგრეთვე წარმოადგენს თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების ზრდა. კერძოდ, ცვლილება ითვალისწინებს თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებისა და ადმინისტრაციულ ერთეულებში დასაქმებული სპეციალისტების თანამდებობრივი სარგოების მატებას „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობის ფარგლებში.

საკითხმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია ოპოზიციონერ დეპუტატებში და იქ დამსწრე მოქალაქეებში (მ. მოსიაშვილი, ა. მჭედლიშვილი.

კომისიის წევრების უმრავლესობამ ცვლილების პროექტს მხარი დაუჭირა. წინააღმდეგები - რუსუდან იმერლიშვილი, გიგი გიგიტელაშვილი, იმედა კევლიშვილი. თავი შეიკავა - ნინო ომანიძემ.

<u>გადაწყვიტეს:</u> კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, ცვლილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე ზ. ლილუაშვილი